

# მენონის გუჟითი



საქართველოს  
მეცნიერებათა  
კულტურის  
გაზეთი  
№3 (271)

1-30 აპრილი  
2019

ფასი 1 ლარი

გამოღის  
თვეში რჩევა

## რევაზ მიშველაძე



საზოგადოებრივი გარბენის მონაცილე სულიკო მინაძე უგუნებოდ, მოკლე მიხვევ-მოხვევით, ზურგზე ხელებდან ყობილი მიუყვებოდა კუს ტბის აღმართს.

მზე ბებერ ფიჭვთა კენწეროებიდან დაშვებულიყო და სამოთხის ფერებით მოჩითულ ნუშებს მოსდებოდა.

შაშვი გადარეული ჭახჭახით იქაურობას იკლებდა.

სულიკოს უგუნებობას დიდი მიზეზი ჰქონდა.

გუშინ საღამოისკენ ადამიანური რესურსების განყოფილების გამგემ, ჩეობაძემ უხმო და არც თუ მწუხარე სახით გამოუცხადა: შემცირებაში მოგაყოლეს, ზეგიდან ახალი სამსახური უნდა ეძებოთ.

„კი მაგრამ“ მინაძემ, მაგრამ ადამიანური რესურსების (უნინ კადრების განყოფილება ერქვა) უფროსმა აღარ დაამთავრებია, ერთი თვის ხელფასს გამოგინერთ და ჩვენგან თავისუფალი ხარო.

შინ სახემოძმარეული დაბრუნდა.

კიდევ კარგი, ცოლმა ვაიშველებელი არ ატეხა.

რას ვიზამთ, სულიკო, მიდგებ-მოდგები, კაცი ხარ, უმცროსი ბუღალტრის ადგილს როგორმე იშოვი, მანამდე ისევ ორცხობილების ჩაბარებას გავაგრძელებ და გავიტანთ თავსო.

„მოამბის“ დაწყებამდე კომპიუტერისტმა გოგომ დაურეკა: ბატონი სულიკო, ხვალ, ათ საათზე კუს

ტბაზე მასობრივი გარბენია და მონაცილეობა უნდა მიიღოთთ.

- შენ არ მომიკვდე, ბიძია, მეტად, მაგენს ვურბენ ხვალ, მეტი საქმე არა მაქვს, - მიუგო სულიკომ.

- ვაიმე, რატომ, ბატონო სულიკო?! - შეიცხადა გოგონამ.

- რატომ და დღეს შემცირებაში მომაყოლეს, შენ, ალბათ, ძველი სია გაქვს.

- ჩემი სიკვდილი, - უთანაგრძნო კომპიუტერისატმა, - რა ვქნა, აღარ ვიცი, ვისაც დავურეკე, ყველამ უარი მითხრა. გამაგდებს ხვალ უფროსი და ეს იქნება.

გოგონამ მობილური გათიშა.

- გესმის? - ცოლს გაეხმიანა სულიკო, - ხვალ კუს ტბაზე უნდა

პრეზიდენტს პარიზში ნაყიდი ახალ-თახალი, ოქროსფერი „ბოტასები“ ეცვა.

სტუდენტებს და უფროსეულასელებს ხელთ გაშლილი ტრანსპარანტები ეჭირათ:

„სალამი საზოგადოებრივი გარბენის მონაცილეებს“;

„ვიომოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკიდრებლად“;

„რაც უფრო შორს გაიქცევი, მით უფრო დიდხანს იცოცხლებ“;

„დაწინი და გაუსწარი ინფარქტს და ინსულტს“;

„რბენა ჯანმრთელობაა“.

სულიკო მინაძემ ჩეობაძე მოძებნა და ყოველშემთხვევისთვის ჰკითხა:

- შეიძლება მეც გავიქცე?

სულიკო გამგებელს პირადად არ იცნობდა, მაგრამ უნარმოკლებულ ბავშვებთან შეხვედრაზე მოუსმინა ერთხელ და ტურავამ „ლვთის შვილებზე“ ისე მგრძნობიარედ ილაპარაკა, რომ სულიკოს ცრემლიც კი მოერია.

ამ და სხვა მიზეზთა გამოც, სტარტი რომ მისცეს, სულიკო მინაძეს გულმა ტურავასკენ გაუწია.

ამის შორიახლო ვირბენ, სხვებზე მეტად კეთილი კაცის გამომეტყველება მაინც აქვსო.

მორბენლები უცებ დასერიოზულდნენ, ღრმად ჩაისუნთქეს და მიყოლებით დაიძრნენ.

კაცებმა ჯერ ქალები და ქალბატონები გაატარეს.

სუსტი სქესის მძიმენონიან წარმომადგენლებს სპილოს ზომის რეიტუზები ეცვათ და სრულიადაც არ ადარდებდათ, რომ ჯენიფერ ლოპესის წონას ათჯერ მაინც აღმატებიდნენ.

ჩანს, ამ წონითაც საკმაოდ მომხიბვლები ვართ, რაკი ამ მილეთ ხალხში სარბენლად მოგვინვისო, ფიქრობდნენ ისინი.

ქალებს მორბენალი კაცები მიყვნენ.

ეს უკანასკნელი მდუმარედ, მოქუფრული, მაგრამ შთაგონებული სახეებით, მძიმედ რბოდნენ.

თუ ძალიან დააკვირდებოდი, ყველა მათგანის სახეზე ამოიკითხავდით: „რა დროს ჩემი სირბილია, როდის იყო, რომ დავრბოდი, დეექცა ოჯახი, ვინც ეს მასობრივი გარბენა მოიფიქრაო“.

ახალგაზრდებმა მაღალი რანგის ჩინოვნიკებისადმი ყოველგვარი მოწინების და მორიცების გარეშე ლალად, შლიგინ-შლიგინით ჩაუარეს გამგებელს და ჩანჩქერ-ლელეზე გადებული ხიდისკენ გაუჩინარდნენ.

ხანშიშესულები ერთხანს ტურავას მხარდამხარ სუბორდინაციის დაცვით მორბოდნენ, მაგრამ როცა გამგებელმა ანიშნა, წალით, მე ნუ დამიცდითო, უხალისოდ, ფოსტის ბებერი ცხენებივით გაბრაგუნდნენ.

ფიჭვნარის პატარა მდელოს რომ მიუახლოვდნენ, ტურავამ მარჯვნივ გაუხვია რა თანმხლებთან ერთად.

სამივნი ცოლმა ხანს ადგილზე აკეთებდნენ სირბილის იმიტაციას, მერე ჩირგვებში გაუჩინარდნენ.

რუსი

ნოველა

- ჩვენ სირბილს არავის ვუშლით,  
- მტკიცედ, წარბშეკვრით უპასუხა  
ჩეობაძემ.

- გმადლობთ.

სულიკო მორბენლებს შორის  
ჩადგა.

როგორც მორბენლების სახეზე  
ამოიკითხა, მისი შემცირების ამბავი  
აქ ჯერ არავინ იცოდა.

მოხალისე გამქცევთა შორის,  
კოლონის მარჯვენა მხარეს, ახ-  
ალდარებულ, მაგრამ უკვე გამხმარ  
მაგნოლიებთან, სულიკომ რაიონის  
გამგებელი ტურავა შენიშნა. ტურა-  
ვა მაღალ-მაღალი, ლოყებპუტკუნა,

ზომიერად ჩამრგვალებული ბიჭი  
იყო. შავი, წითელსაყველოიანი, „ადი-  
დასის“ სპორტული პიუამო ეცვა და  
საყელოს წამდაუნუმ ყურებისკენ  
ქაჩაბდა.

გამგებელს ცარცისნაჭამივით  
მოღვენთილი გამომეტყველება ჰქ-  
ონდა.

ეტყობოდა, რომ საზოგადოე-  
ბრივი გარბენის მონაცილის რანგში  
ყოფნა დიდად არ სიამოვნებდა.

► 183.

სულიკოც მათ მიჰყვა და შორიახლო კუნძული ჩამოვდა.

გამგებელი და მისი ამფსონები არამეტობე, წამპატველ მორბენალს თვალს არ აშორებდნენ.

მალე ერთმა მათგანმა ჩანთა გახსნა, სამი ბოთლი ლუდი („ჰაინეკენი“), ცელოფნის ერთჯერადი ჭიქები და ორი შებოლილი „სკუმბრია“ ამოილო.

პირველი ჩამოსხმა ლუდი რომ ჩამოატარეს და შებოლილ თევზე დაწვდნენ, გამგებელმა სულიკოს ხელი დაუქნია.

სულიკო უკანალზე შარვლის ფერთხვით წამოდგა.

- უშიშროებიდან ხარ? - ჰკითხა ტურავამ.

- არა, ბატონი.

- აბა, რატომ არ გაყევი მორბენებს?

- რა ვიცი, აქეთ ვარჩიე.

გამგებელს გაეცინა და სულიკოს ლუდით სავსე ჭიქა გაუწოდა.

მინაძემ მადლობა გადაუხადა და „ჰაინეკენი“ სულმოუთქმელად გადაკრა.

- ისე, - გაუშინაურდა სულიკო მასპინძლებს, - მე არც მეკუთვნის, კაცმა რომ თქვას, გაქცევა.

- რატომ? - დაინტერესდა გამგებელი.

- გუშინ შემცირებაში მომაყოლეს.

- სად მუშაობდი?

- მესამეში, უმცროს ბუღალტრად, ჩხობაძეა ჩვენი რესურსების ცენტრი.

- რაიონ, რაზე გამცირებთო?

გამგებლის თანამეინახემ ერთჯერადი ჭიქები შევსო.

- მაგას ვინ გეტყვის, - სულიკოს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა თავისი სითამამის, მაგრამ რას ვკარგავ, მაინც შემცირებული ვარო და გარეკა! - დღეს უსაქმოდ, უაზროდ მილიონებს ხარჯავენ. ახლა, რავარც ვატყობ, ტლიკინის დროა, ვინც მეტს ტლიკინებს, ჰგონიათ, საქმეს აკეთებსო. იქეთ გადაღმა, ერთი გადარეული ემიგრანტი გოგოების ყრილობებს აწყობს და ეუბნება: ასე, ა, რავარც ხართ სამუშაოზე გამოსული, მოკლე კაბით, წითელი რედიკულით, წევიდეთ ხვალვე საქართველოში და ევილოთ ხელში ძალაუფლებაო. აქანაა და, ხეების გადარგვას გადაყვნენ და ჩვენ ქე მივავინუდით, ხალხი ვიღას ახსოვს.

- ეგ ყველაფერი ვიცით, მარა რა უნდა ქნა ახლა შენ, სახელი რა მითხარი?

- სულიკო, ბატონო.

- სულიკო.

- რა უნდა ვქნა, სამი ბოვშვი მყავს სარჩენი, ერთიმეორეს ძლივს აყენებენ. რას დაეძებენ მაგენი ჩემს ბოვშებს.

სიჩუმეში ახალაკვირტულ ჩირგვს ბეღურა აანყდა და ფიჭვნარის სილრმისკენ გაფრინდა.

- რა გვარი ხარ?

- მინაძე.

- სულიკო, წადი ერთი, თუ კაცი ხარ, ხომ არ გავიდნენ მორბენლები ბოლოში. რამდენი წრე უნდა დაერტყათ?

- სამი. ვაპირებდი ბოლომდე გაქცევას, მარა თქვენ რო აქეთ გამოუხვიეთ, ა, ჭკვიანი ხალხი-მეტეი

და გამოგყევით, - სულიკომ სიცილი ძლივს შეიკავა.

- მიდი, მიდი, ნახე რა ამბავია, ნახე და დაგვიძახე.

ფინიშზე ხალვათობა იყო.

ერთი ტანმძიმე ქალი ყოჩალად მორბოდა, მაგრამ სამი-ოთხი ნაბიჯილა აკლდა წითელ ლენტამდე, რომ უეცრად ნაბიჯი შეანელა, ჯერ აჩა-ბაჩად წამოვიდა და მოწყვეტით წაიქცა.

წითელსამკლაურიანთეთრხალათიანი მორიგეები გულწასულს მიცვივდნენ.

სულიკო შეტრიალდა და სატურავოსკენ გაიქცა.

სამ წუთში გამგებელი ადგილზე იყო.

დაღლილ-გასავათებული მორბენები, შენუხებული სახეებით, თითქოს ფეხზე დოლაბები ჰკიდიათო, ბოლო ნაბიჯამოსუნთქვებით ბარდებოდნენ მსაჯთა კოლეგიას და მირბენილ ინსტრუქტორებს გვარს დაუგდებდნენ, სხვა რამის თქმის თავი აღარ ჰკინდათ.

აბეზარი ტელეშურნალისტები მიკროფონებით ხელში გარბი-გამორბოდნენ და ძლივსდანეულ ოპერატორებსაც უმოწყალოდ დაარბენინებდნენ.

ერთმა მორბენალმა, მაღალმა, თმახუჭუჭა, შავგვრემანმა, ოცდაათიოდე წლის გამხდარმა მამაკაცმა მოფინიშებს თავი დაუკრა და მხნე სირბილით გზა გააგრძელა.

- თქვენ! თქვენ! - გამოუდგა მას ინსტრუქტორი.

- რა იყო?! - ნაბიჯი არ შეუნელებია თმახუჭუჭას.

- გათავდა რბოლა!

- რა გათავდა?

- რბოლა! მხოლოდ სამჯერ უნდა შემოგერბინათ! მორბენალი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, გაჩერდა და მოახლოვებულ ტელემექრონიკეს წინ დაუდგა.

სულიკო მინაძე გამგებლის უკანი იდგა და არ გამოპარვია, როგორ ჩაულაპარაკა ტურავამ რესურსცენტრის უფროსს, ჩხობაძეს.

- გესმის? სულიკო მინაძე ამოიღე იმ სიიდან.

მინაძეს სიხარულისგან გული შეუტა.

მერე გამარჯვებულ მორბენალთა დაჯილდოების ცერემონიალი დაიწყო.

\*\*\*

საზოგადოებრივი გარბენის მონაწილე სულიკო მინაძე ბედნიერი კაცის გამომტყველებით, მოკლე მიხვევ-მოხვევით, ზურგზეხელებ-დაწყობილი ჩამოდიოდა კუს ტბის აღმართზე.

„ააშენა ღმერთმა, კაცი ყოფილა ტურავა... ახლა გადავრჩი, მარა ხვალ რა მოუვათ ამგენს თავში, ვინ იცის. ხვალ ვინ მიშველის, ასე ვკიდივართ ყველა ჩვენი უბედური ბედის ძაფზე. ჲა და ჲა... და ჩამოწყდებით!“

ფიქრობდა სულიკო.

მზე ბებერ ფიქვთა კენწეროებიდან დაშვებულიყო და სამოთხის ფერებით მოჩითულ ნუშებს მოსდებოდა.

გადარეული შაშვი ჭახჭახით იქაურობას იკლებდა.

15 მარტი, 2019  
თბილისი



## ნინო უძილაური

### „და ვისუნთქოთ პოეზიის მშვენიერებით“

და ვისუნთქოთ პოეზიით თუ შეგვიძლია, უჟანგბადოა ეს სამყარო უკვე დიდი ხნის, აქ სიყვარულსაც სამოსელი შემოელია, ამაოება შემოუსვამთ ტახტზე პირიქით.

სილამაზისთვის პოეტები ძერწავენ რითმებს, და სიყვარულად იღვრებინ სიცოცხლისათვის, პოეტებისთვის ქალღმერთები თუ თხზავენ მითებს, თავად ღმერთები ირჯებიან პოეტებისთვის.

ნუ დავიღლებით, მოგაფრქვით სიკეთე მარცვლად, და დავამარცხოთ, დავამონოთ ყველა დემონი, შემოვაგროვოთ სიყვარული ცხოვრების საგზლად, ყველა პოეტი იწვის როგორც თვით შემოქმედი.

და ვისუნთქოთ პოეზიის მშვენიერებით, რადგან სამყარო დაცლილია ამაოებით, ნუ დავიღლებით ჩვენი წილი ბედ-უბედობით, სიცოცხლის ბოლოს მადლით გვეთქვას, ამად მოვედით.

„და ვაღალატე ისევ ღალატი“  
ნუ დავიღლებით, მოგაფრქვით სიკეთე მარცვლად, და დავამარცხოთ, დავამონოთ ყველა დემონი, შემოვაგროვოთ სიყვარული ცხოვრების საგზლად, ყველა პოეტი იწვის როგორც თვით შემოქმედი.

მერე გარიურაქს გავეარშიცე, თითქოს მეოცნიდნენ შენი ტუჩები, ეს სიყვარული და კაეშანი, მათობდა, ალბათ ვერც ვიურჩებდი.

სიყვარულისგან ღამენათევი, სხივებში ჩანდა შენი ფერება, და გული წრფელი, თბილი, ნათელი, დილის მზის სხივით რომ მეფერება.

მე ამ ღალატით დავგმე ღალატი, დავგმე და სევდაც შემომეხეთქა, სიყვარულია მხოლოდ მთავარი, სიყვარულს სიტყვა ეთქმის ღმერთებთან.

მიყვარს ეს გრძნობა, წრფელი, ხალასი, მარადიულად გულში რომ ფერქავს, დავაღალატე ისევ ღალატი, დავაღალატე....რადგან ბეკრს ბედავს!

„სევდა საზღვრებთან“  
სიყვარულს მისერავს მავთულხლართები,

სისხლის წვევებით მორწყული მიწის, ჩემი ფესვები გადახლეჩილი, მემატიანე გლოვობს და ტირის.

ღმერთო მომეცი ძალა და გონი, საშვილიშვილო ვაკეთო საქმე, გავქრი, გავქვავდი, აღარ ვარ მგონი, ჩემი სამშობლო მიპოვეთ სადმე.

</div



## დავით ახლოური

\* \* \*

ხანდახან ისე თბილია მინა,  
ხანდახან ისე ცხელია გული,  
მოგენატრება იმ წუთს და იმ წამს  
მიენდო ფიქრს და მიეცე სურვილს.

და ის სამყარო აჩუქო დიაცს,  
რომელიც შენი არასდროს იყო,  
გაექცე ყველა ჭორსა და გნიასს,  
ჯოჯოხეთიდან შორს გაირიყო.

იქ, სადაც მეტი ჯოჯოხეთია  
და მხოლოდ შენთვის ჰქვია სამოთხე...  
იქნებ ყოფნაზე უფრო მეტია  
მის სიყვარულში სული ამოგხდეს.

ვისაც შენს გამო შეაცდენს გველი,  
ვინც შენთვის შვეს და სხვაგან გათენდა...  
შენ ადამი ხარ და სადღაც გელის  
მკათათვის ცხელი ამონათება...

გიყვარს... მის იქით ვერაფერს ხედავ...  
გათბობს... ნებდები ფიქრსა და სურვილს...  
ზოგჯერ ღმერთივით მშვიდია მზე და  
ზოგჯერ მზესავით თბილია გული...

## პროცეულები

მწიფობის თვეს იფერებდა ბრონეული,  
სამოსელი ვერ იტევდა მკერდა...  
მთვარე მყავდა შუამავლად მოწვეული,  
მზის ტრფიალი მე მიქებდა ბედს.

მწვერვალზე რომ ამღვრეული ნისლი ინგა,  
როგორ ჰგავდა ჩემს საყვარელ „ცას“...  
ქვეშაგებად არ გვყოფნიდა დედამინა  
და საბნადაც ვერ გვწვდებოდა ცა.

ცახცახებდა ქალი, როგორც ჯეირანი,  
მავედრებდა ათრთოლებულ გულს...  
არ ივიწყებს ჩემი სახლის ხეივანი  
ასჯერ ნათქვამს: „მეყვარები სულ“...

ლამე იყო შეშლილი და მოწეული,  
უსირცხვილოდ იღელავდა მკერდს  
და მწიფობა შეპარული ბრონეული  
ქალწულობას აგონებდა მდედრს...

\* \* \*

ქარაფს მივყვები  
(ვერ გავთელე  
ფეხებეშ იები),  
ვერც ამ ბილიკებს  
გადავივლი  
ჩემო, უშენოდ...  
და ჩვენს თვალებში  
რომ გადარჩეს  
უფლის იერი,  
მინდა ამ კლდე-ლრეს  
სიყვარული  
შემოვუშენო...  
შენ მზემ და მთვარემ  
გაგიმეტეს,  
ჩემზე დაგნიშნეს,  
ზეცა მამა ამ ტრფიალის,  
მინა კი - დედა,  
მე შენ გჭირდები,  
ამიტომაც ხელს  
ვერ გაგიშვებ...  
შენ მე გჭირდები,  
ჩვენ ერთმანეთს  
გულებით ვხედავთ...  
ქარაფს მივყვებით...

\* \* \*

ამ გულს გაჩუქებ  
(გულის თხოვნა  
იცით ქალებმა),  
სულსაც გაჩუქებ,  
შენთვის როგორ  
დამენანება...

სუნთქვაც,  
სიცოცხლეც...  
გენაცვალოს  
შენ ერთს ყოველი,  
მაგრამ რად გინდა,  
დასასრული  
რასაც მოელის...

არც მაისივით  
დაგპირდები  
ამინდს - წვიმების,  
წვიმას ალერსი  
ჩვევია და  
გამიცივდები...

ამ მზეს გაჩუქებ,  
არ შეგცივა,  
არ დასველდები...  
როცა ამოვა,  
გაგათბობს და  
გაგახსენდები!..

\* \* \*

ხან მზის სხივი ხარ, ხანაც მეწყერი,  
ცივი ღამეა სხვა დანარჩენი...  
დღეიდან მთვარეს ალარ ვერ ვევი,  
ჩემი დაისის ხარ განაჩენი.

სულ არ სჭირდებათ გრძნობებს სადავე,  
სულ არ უხდება სიყვარულს ჭორი...  
სხვა რაღა გითხრა - უფალს გადარებ  
და ჩემს გულში ხარ ღმერთივით შორი.

## გზის ასული

ჯერ არყოფილი სიგიურით მიყვარს  
ქალი, რომელიც ასე მახელებს...  
ჩამოდის მზე და თავისითან მიჰყავს  
და ყოველამე უცვლის სახელებს

მას, ვინც იდითგან ისე თბილია  
ვით ჰელიოსის კოლხი მედეა...  
ის ქალი მზისთვის ერთი სხივია,  
ჩემთვის ცაა და ცაზე მეტია...

მზემ შეუკერა მას თეთრი კაბა  
და გვირილებით მოურთოვ ველი...  
მზის ასულია ის ქალი, ალბათ,  
მნათობზე უფრო თბილი და მწველი...

მეც მზეს გავანდე პირველად სიტყვა,  
სხვაგვარად მათბობს, ალბათ, მიტომ მე...  
იცის ის ქალი რარიგად მიყვარს  
და ყოველამე სიზმრად მიტოვებს...

\* \* \*

ქალი უნდა იყოს ვნებიანი,  
ცოლიც,  
საყვარელიც,  
მეგობარიც...  
კაცი თუ დიაცის მეფე არი,  
ქალი კაცისაა დედოფალი.

კაცი მტკიცე მწამს და ვაჟკაცური,  
მტრისთვის ნაცნობი და  
ასჯერ უცხოც...  
ხმალი უნდა იყოს აბასრული,  
ქალი აქალოს და აკეკლუცოს,

პაპის შეუნახოს შვილებს ოდა,  
კარი არ დაუთმოს იმ ძველ ბოქლომს...  
კაცმა ქალით უნდა იმეცოს და  
ქალმა კაცით უნდა იდედოფლოს!..

\* \* \*

ორმოცს უახლოვდები, იქნებ ცოტა  
გადაცდი,  
მაგრამ კი არ მშორდები,  
სხვა მიყვარდეს, არ მაცდი...

არ გიცნობდი სულ ადრე, ახლა  
უფრო ვივსები,  
ხომ მოხვედი სულამდე  
დახეული ჯინსებით.

არც ეს წლები გადარდებს - მოდიან  
თუ მიდიან,  
სიყვარული გადამდე  
და ფეხებზე გკიდია

ასაკი და დროება შენიცა და ჩემიცა,  
გახდა ამაოება  
შენს გარეშე ჩემი ცა...

მთელ სამყაროდ იბევრე, მოგდევს  
უფლის წყალობა...  
ახლა უფრო იცერებ,  
მე თუ მკითხავ, ქალობას...

ორმოცისაც იქნები... მაგრამ რა დროს  
ნლებია,  
როცა შენზე ფიქრები  
ისევ ჩემთან წვებიან...

\* \* \*

ერთხელაც მითხრეს, რომ  
გათხოვდა,  
ბავშვურად ამენვა თვალია...  
ის, ვინც მე მზესავით მათბობდა,  
ჩემი საყვარელი ქალია.

რამდენჯერ არ მითქვამს სიტყვა და  
არ თქმულის  
მიმყვება ვალია...  
ის, ვინც მე მზესავით მიყვარდა,  
ჩემი საყვარელი ქალია.

სიცოცხლე თანდათან მაკლდება,  
სულ ჩემთვის  
ან სადა სცალია...  
ის, ვინც იქ მზესავით ჩამყვება,  
ჩემი საყვარელი ქალია...

\* \* \*

გულს რომ მოენატრე ლელაო,  
ალბათ ე, ღრუბელი  
გეტყოდა,  
არ ღირს, დაივიწყე ყველაო,  
ვინც მზეს  
დაისამდე ეტრფოდა...

მას ვერ გააღმერთებ ქალშავო,  
ვინაც უფალივით არ გიყვარს,  
წამო,  
მთაზე ნისლი ავშალოთ,  
ბედნი ერება მა ში წაგიყვან!..

\* \* \*

შორსა ხარ, მაგრამ  
შორეულიც  
ჩემს გულში სახლობ...  
ეს მონატრება  
გაგვახელებს  
მალე ჭკვიანებს...  
მე მოვალ დღეს და  
ვისეირნებ  
შენს სახლთან ახლოს  
და მთელი ღამე  
ვარსკვლავებზე  
გაეჭვიანებ...

## გავთულსლართაგი

ჩვენ მოვყებოდით იესოს ვერდით,  
ხშირად გვიღობდა ბედი გამოცდას,  
სიყვარულზე და ძმობაზე ვწერდით  
რუსთველის ხელით „ვეფხისტყაოსანს“...

ძმობით იცნობდნენ კარდუს ნართებიც  
და ვერ შეგვიცვლის ეს დრო ნათებას...  
შემოგვრჩებიან მავთულხლართები  
სამუზეუმო ექსპონატებად.









## ზურაბ მამულაშვილი

ასეა როცა...

ჩამოიმზუხრა მზემ გულის ქიმზე  
და თითქოს ბოლო იმედი გაქრა,  
ვეღარ უძლებდა გოგონა სიზმრებს,  
რადგანც სულის სიმები დახრა.  
ვეღარ უძლებდა სადარდელს გულიც,  
მზე და მზის სხივი მონგრებოდა,  
ვერ ისრულებდა სანატრელ სურვილს,  
სევდის მორევში ისე ძნებოდა.  
ვერ ეტეოდა ოცნება დროში  
და თითქოს ძაფი აქა წყდებოდა,  
თუმცა ჯეროდა, რაღაცა დოზით,  
იმედი კიდევ გადარჩებოდა.  
გულმოსული თუ ჩანაფიქრს უსწრებ,  
იქ არასწორი ეჭვები ჰყვავის,  
გამოიფხიზლა გოგონამ უცებ,  
როცა მზის სხივი დაეცა ბალიშს.  
გადაითოვა ფიფქებით ველი,  
თეთრი სამოსი მართლა შვენიდა,  
ვით ამ გოგონას კამაამა ცრემლი,  
სატრფოს მოსვლამდე არ გამრებოდა.  
რას იზამ, კიდევ მრავალჯერ მოთოვს,  
კიდევაც ნახავ საოცარ სიზმარს,  
ასეა, როცა ვიღაცა მოგწონს,  
ასეა, როცა ვიღაცა გიყვარს.

## ლექსი, რომელიც დააკლდა ქალაქს

## ჩვენი დროის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტს, იმედო ჯახუას

ساოცარია კაცის ბუნება,  
ადვილად ვიტანთ უდიდეს ზარალს,  
ნუთუ არაფერს არ გვეუბნება,  
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.  
ის პოეზიის მწვერვალზე იდგა,  
მარგალიტებად ისროდა ლექსებს,  
ცხადად თუ სიზმრად საკუთარ თავზე  
ჯილდა ადგამდა მარტვილის ფესვებს.  
იმ აზრს ვერავინ შეგუებია,  
თუ გაიხდიდა პოეტის ხალათს,  
ო, რა ძალიან მოგვნატრებია  
ლექსი, რომელიც დააკლდა ქალაქს.  
მთელი სიცოცხლე სულ გვერდით ედგა,  
ოსებს, აფხაზებს, ლაზებს და მესხებს,  
გოლგოთას მთაზე თამამად შედგა,  
უფლის ნებით რომ ბორკილი შესხნეს.  
სიმწრის ცრუმლი არ ჩამოვარდნია,  
ტალღასა ჰგავდა შმაგი მდინარის,  
მას არაფერი არ უნატრია,  
ის ჭიქა ღვინით იყო მდიდარი.  
უბრყონავს სიტყვა ნათელ დღესავით,  
მის პოეზიას საზღვრები არ აქვს,  
მჯერა, აღსდგება ლაზარესავით,  
რადგან ძალიან დააკლდა ქალაქს!

შენ ისეთი ნაზი ხარ  
ნათია ბაქტრაძეს

შენ ისეთი ნაზი ხარ,  
როგორც წვიმის წვეთები,  
მზის გულზე რომ მოდაან  
და მაშინვე ქრებაან.  
შენ ხომ იცი, სტრიქონებს  
არვის დავესასხები  
და 12 ივნისი  
შენთვის დამთენებია.  
შენ იჯექი ტბის პირად  
წყნარად, მორცხვი ბავშვივით  
და გიცავდა სიცხისგან  
ტირიფის ხის ტოლები.  
შენ სულ თეთრი გედივით,  
მე კი, როგორც ნახშირი,  
მე პერანგი მშვენიდა -  
შენ კი - მოკლე შორტები.  
და ცვიოდა ლექსები,  
ვით ცოცხალი თევზები,  
არ მეგონა თუ იმ დღეს  
შენ გაცნობას შევძლებდი.  
ჰოდა, რადგან უფალმა  
მართლა ასე ინება,  
იმის მერე მაკვირვებს  
შენი სახეცვლილება.  
იმის შემდეგ ვფიცავარ,  
დღემდე მართლა მაოცებ,  
როცა გნახავ, ძვირფასო,  
შუბლზე ნაზად გაკოცებ.

ლეილა მესხი

„ଭାବନଟର, ସାହସରତିର ଧାରାଦିଲାନ୍ତିରେ!“

### (ზოია ვაშაკიძის პოეტური კრებულები)

2018 წელი, ერთობ ხვავრიელი გამოდება პოეტ ზორა ვაშაკიძისთვისა... ამ რთულსა და გამხელებულ ყოფაში, როცა აგრეთვა გამოცემა წიგნის გამოცემა, მცირთხველისთვის მათი მიზნიდება... ზორა ვაშაკიძე, ეს უშერეველი, დაუთმობელი ბუნების ქალაბატონი იძისთვის იძრდების და იღწვის, რომ ქართველ ხალხს, მისახალგამობრიბას და რაც მთავარია, შრმაზად თაობაშა შეატული სიტყვას სიყვარული ასნავლოს, შის შედოს აზიაროს. ეს კი დიდი საქმე! სულ ახლახახ გამოქვეყნებული, მისა პოეტური კრებულები სხორცედ აქ ლირეჟულ საქმეს ემსახურება. სამირავ წიგნი გასულ ხელს, გამოიცა: „სულ მი შეცვალული ლექსები — (გამომცემლობა „ინტელექტუალისაციონისტური საბაზოზე ფიკრში“ — (გამომცემლობა „მერანი“) და „მე ქართული საქართველო მინდა“. — (გამომცემლობა „სამართლიანი საქართველო“) ზორა ვაშაკიძე, როგორც პოეტი, პედაგოგი, აღმზრდელი, მთელ თავის სასაციონისტო ენერგიას ამ რთულსა და ძნელ საქმეს ახმარს.

ცხოვრებაში ყველა თავის ტვირთს  
ეზიდება. რამდნადაც შეუძლია და რო-  
გორც შეუძლია. ზოგი ვაძებები — ქალი,  
დედა, პაროვნება და რაც მთავროს პოლიტი,  
თავისი შემოქმედებით, სიცოცხლის წყურ-  
ვილით სამშობლოს ერთგულ შევილად ითვ-  
ლება. მისი სატევიარი მისი კეყყანა, მასტე  
ორი მოგრძელება, მისი ლექსები, მის  
ვეღრები თუ მიგნებები მუდა გულწრფვა-  
ლია. რასაც არ უხდა ეხებოდეს, წარსულს  
თუ მომავალს, დღევანდველობას... პოეტი  
გაბეჭულად ამხელს სიმართლეს: „მე გცხ-  
ორობ დროში, რეშმი ცხოვრობს,  
უერთმანეთოდ წამითაც ვერ ვძლევბთ, ხან  
სასტიკია და ულმობელი დრო — სულის  
ქარი, დრო — ყოვლის შემძლევა. დრო მე მაჯხ-  
იზლებს, დროს ვეღდავები, დრო მსხებზე მან-  
ევს, გით მძიმე ტკივილი, ხან დობიბით მო-  
შვევია გვერდით, ფექრით ხან ვუსწრებ და  
ცისკენ მიერი...“ მისი სტრიონები ლალი  
და თავისთავადია, მისი გულწრფველობა  
გადამდებარია. თუნდაც უმნიშვნელო საგანი  
იყოს, მშიბიბლიურ მიზანი განვიხსნა  
ბალახი იქნება თუ გუბისწყალში მოჩერი-  
ალე ფერადი კენჭები, ყოველი მათგანი...  
არაზე დაფიქტურობარ, პანაწინა ბალახი,  
შენი გმინვა მოხესმა, შენს ფესვებთან ვარ  
ახლო, თავი წერო ასინიე, ცრემლი არ ადამა-  
ნახვა, — შინი (კოლეგით აისხო, სნიველი სისხლ-  
ზე ბალახობს, ჩვენ ვერ ვშევლით გერაფერს,  
წამიც არ გვაევს სალალო, წამო ცისკენ,  
იქნებ იქ, ვკოვოთ სხის გზა, ბალახი!“ აქ  
პოეტი ქარი დამაფიქტურებელ პასაუს ჰქემნის,  
სხივი ის სხინლიან ბალახზე, ცისკენ ლუტოლოვა,  
სხინი გზა... აშკარა საფიქრალას ლუტოლოვას  
მკითხველს. ამიტომაა ლექსიდან ლექსში,  
ორგონცგანნყობა, ფიქრი და შეგონება ისე  
გადაედინება მისეული მიხვედობი: „მერე  
გამიტაცებს ცის საუფლო, ბეჭისწყარისაგად  
ვინ დაგრძელავს, ხშირად მომიანატრებს სასაუ-  
ბროდ, ჩემი ცრემლიაზი დედამინა“ — ამბობს  
პოეტი.

„ცრემლიანი დედამიწა“ აქ უმთავრეს დატვირთვას იღებს... იგი გვიმხელს თავისი არსებობის მთავრობას საზრუნოა: „ფინებში ხშირად იყლევბს შიში — ხომ შეიძლება გა-თავდეს მილიმ მთელი სამყარო. მჩხვლეტს გული, თითქოს ეკლებზე ვწევარ და ჩიდე-და კითხვა: ასე რომ შოხდეს, რას იზამს მა-შინ მაღალი ღრერთო, გაიძლეორებს ადამი და ვას?“ ამგრძნელ კითხვას ძნელდა გაეცემა პასუხი. ავტორსაც უჭირს ჰასუნის გაცუ-მა... იგი თითქოს დიალოგში გაინვეცს, ჩეცენ, მკითხველებს... იმასაც გვახვედრებს, რომ არ შეგვტევს ძალა, რომ გოლომძე მისადი-ოთ გვეხინდს ხმას, მისახვედრელს კიხვდეთ, რომ ამგრძნად გვალა ეკვენას, მიხევდოას, არსებობას, თავისი გამართლება აქვს, შერე მოძის უამი როცა ბედის ყოველგვარ წყ-ალობას ჩევნი სულიერი გახეყობილების მიხედვით ვაფასებთ, „ჩემს სულს ექნება სურნელი ხომის, მზევევისან სველი ჩიტერები, რომ სინანული მიწაზე ყოფნის არ მაგრძნობინონ და დაემშვიდდებით... გადავა-ტარებ მზერას ლურჯ კორდზე, დავცვაროვ ბალახს ცრემლებით, თბილით და გადაუ-ლის ძინას ყოველდღე ჩერი სულის და

დამსურენ შენი ზეცის მანდილი, შემეგებდება  
მითხარ ჩურჩულით, ჩემი შვილი ხარ, ჩემი  
გაზღილება!”

„ოրენტ თახარის სისისულ უკარისტი გადაყვავართ, მისი განცდის თანა-  
ზიარი ვხდებით, რაც აშკარა სიამოვნებას  
განვეკუდებინებს. „გზები მელანდება მთ-  
ვარიანთი, ფრენა განა ასე იოლია? ჩემი სან-  
თელი და საფიცარი, ჩემი გელათი და რი-  
ონია... ასზი შეკანდება ნაციონალი, ვარდი-  
ცვარნაძით რომ ნაცულია, ჩემი სიღლერა  
და სიხარული ჩემი დედული და მამულია.“

აზრის სისხარტე, საფიცალის ბუზე-  
ბრიობა ალამაზებს სტრიქონს...

\* „მე მაშინ დავიბადე, როცა სამშობლო  
მელუქებოდა, განსაცდელში იყო...” (ნაპო-  
ლეონი)

„დედავანი“ ჩაისუტებ გულში. „  
პოეტის ს შემცხევდება სავსეა თანა-  
მედროვე ადამიანის ფიქრით, ზუხილით,  
სამყაროს შეცნობის სურვილით. იმ სატ-  
კივარით, ხშირად ომ გვახსენებს თავს  
— „ნეკნი ჩატებია საქართველოს, სისხლი  
დამთხვეულა ათასების, ცრემლად დაღვენ-  
თილი ათა და მის შემდეგ, კურნესი მისა შემო-  
აფხაზეთი... მინდა ზართა რეკვა ზეცას  
მიწედს, მინდა შევანუხო მაძარმეროთი,  
რომ შთელ მსოფლიოში ომი, აღარ იყოს,  
აღარ გამეორდეს აფხაზეთი.“

ପୁରୋତ୍ତମୀ ଶେଷମର୍ଜ୍ଯଦେବାଶୀ, ଉମତାବର୍ଣ୍ଣେ  
ତୟମାତ୍ର, ଉତ୍ତରର ସ୍ଵର୍ଗୀଲାଦ ତ୍ରୟ ଗାନ୍ଧିଫଲାତ  
ଅଳ୍ପିକ୍ରିୟା ଲ୍ୟାଙ୍କ୍‌ସବ୍ରିଟି ଓପରେ, ରନ୍ଧରିଲ୍ସାଫ୍  
”ଲ୍ରେଟଟାର! ସାମଶବ୍ଦନ୍ତ ଘାରାମିନହିନ୍ଦ୍ବ୍ୟାନ୍ଦ୍ରେ  
ଏବେନ୍ଦ୍ରାଦା. ଏହି ଆରାମାରୀ ବାହ୍ୟରୁଗନ୍ତିଲ୍ଲାଦ ଆରାନ୍ତିଲ୍ଲା  
ଅଣିଲ୍ଲା. ମେଲ୍ଲାନ୍ତାର ଶ୍ଵରୀକ୍ରିୟନ୍ତିରେ ହିଂକାରିଗୁଣ୍ଠା  
ଲା ଶ୍ଵର୍ଗା ଇଗରନ୍ତିବା, ବ୍ୟବ୍ହାଲିନ୍ଦ୍ରିୟାଗୁଣାନ୍ତିରେ  
ମିନ୍ଦା-ଚ୍ଚାଲନ୍ତିରେ, ମିଳି ପ୍ରାଣୀଗୁଣ ଗନ୍ଧ ମିନ୍ଦାନ୍ତିରେ, ମିଳି  
ସାଧାରଣାଗୁଣାନ୍ତିରେ ଏବଂ ସାଧାରଣାରେ. ରନ୍ଧରିଲ୍ସାଫ୍  
ପ୍ରାଣୀଗୁଣାନ୍ତିରେ, ଆପାରିତି ଏହାପାଇ ଗୁଣରନ୍ତରେଲ୍ଲାଗା  
”ଶ୍ଵରୀ ଫାତାତବାଲାନ୍ତି ଶ୍ଵର୍ଗାନ୍ତି ଦିନ୍ଦ୍ବ୍ୟାନ୍ଦ୍ରେ... ଦିନ୍ଦ୍ବ୍ୟାନ୍ଦ୍ରେ  
ଜ୍ୟୋତିରିତ ନାତେନ୍ଦ୍ରୀନ୍ଦ୍ରୀ... ଗୁଣାନ୍ତି ମତିକ୍ରିୟା, ଗାନ୍ଧିନ୍ଦ୍ରୀ  
ନ୍ଦ୍ରୀନ୍ଦ୍ରୀ ସାଫଳାନ୍ତି ହେତୁ କ୍ଷରିତବ୍ୟାଲେବା. ଗ୍ରନ୍ଥାବଳୀ  
ମିନ୍ଦା... ମନ୍ଦିର୍ୟବ୍ୟବୀନିଲନ୍ଦ୍ର ଜ୍ଞାନ୍ଦ୍ରୀନ୍ଦ୍ର ତିର୍ଯ୍ୟକ୍ରମାତ୍ମକାନ୍ତିରେ  
ଦିନ୍ଦ୍ରେ... ଶମ୍ଭୁରାଗଲ୍ଲାଦା ହିଂଶ୍ବ କ୍ଷେତ୍ରାବାସ ଶ୍ଵର୍ଗାନ୍ତିରେ  
ନ୍ଦ୍ରୀନ୍ଦ୍ରୀ... ଶ୍ଵର୍ଗା ଜ୍ୟୋତିରିତ...”

გავტირებდი იმ დაკარგულ ბალის გარდებს. ასე არა დამატონებულ ბრძოლის შეცა, გულს ასე არ მომიტალავდა დაკარგული მანევრის ქვენას. შეცეც ინვი და მეც მანვალებ... გულ ხე უსხვად მახვევ დარდებს... ბეჭნიერი ვიწერებოდი, შეს ორმ ასე არ შეივარდე...

\*  
როგორც ვწერდი, პოეტის შემოქმედე-  
ბაში უმთავრული სამშობლო ვეზე-  
ნის დიდ რიცყარულს უჭირავს, იგი დედობის  
უსათუთეს განცდასთან არის შეზავებული  
და მთლიანად ძრიცავს მას. ხოლო ოც წე-  
ება მომავალი თაობის ღირსეულად ალ-  
რდას, მათ გემოვნების ჩამოყალიბებას,  
უმთავრეს საფიქროალად ქცევის პოეტს.  
ამიტომა მისი ლექსის შემრავლებო-  
ბა განთიადის პირველ სხივივთ მსუბუქი  
და გამჭვირვალუ გორებს — „რა იღუმალი  
მოჰყვება ჩასდებას, რა თბილ სალამონს რა  
ფილი ჩასდებას, რა აშრილება ამ ალების  
ჩრდილებს, რატომ აქეს სწირაფა ცისაკან ამ  
მთებს. თითოეული სხვავგვარად ამონთის შეზეც  
და საკმევლის სუნით თვრება პაერი, აქ უხ-  
ილავად ყოფნა სურს ღმერთსაც აქ უხვად  
აფევევეს ცა მადლობა, ღვთაბერიც. აქ უდის  
მირობი ახვიონური, განცდებით აზრის  
მორევი ბორგაჟი და საქართველო ფიქრით  
მოცული, ჯვაროცმული უფლის თქროს სახ-  
ლს მოჰყვავა...“ ამგვარი ლექსი ყოველთვის  
ღრმა შტაბეჭყნილებას ახდენს მოზარდა-  
თაობაზე, იმასხოვრებს და შტაბეჭყნილების  
ქვეშ ექცევა...  
ცხოვრების ნლებმა, გამოცდილებამ  
ბევრ რაიმეს მახვედრა პოეტი, იცის — რომ  
ბელია იცხოვრონ მხოლოდ დლეავანდელი  
დღით, როცა არ იცი რას მოგვიანეს ხალი-  
დელი... რას გიმზადებს წეუთისიფელი. ცდა-  
ლობს დროულად გასცეს თავისი წილი სიხ-  
არული, ღმიღილი, სითბო და სიკეთე. წევათა  
თანამდებობისთვის მზადა, მასის პოეზია  
პოეზია შეუკითხოების სუვილებით სასახა-  
ს, სიყვარულის მზე გადმომცვა იავნანიდან,  
აკეთიდან. ხოლო ოცცა პატარებითოვას ინ-  
ყებს ლოცვას, იგი მიმართავს მათ — „მინდა  
მოგევფერა ახველობას, მინდა ჯანმრთელობად  
და მხედრები იყო, ჩენ ჯერ წერა ეითხვა ია იცი,  
ჩემს ლექსს წაგითხავს დედიერა. პეტროში  
სიყვარული მიგალობს, გული შუქს ასხივებს  
ჩაუქრობს, ჩემო თვალზატულა შზის ქალო,  
ჩემი უშიშარო ჭაბუკო!“

სანაფვა შპალოზნებრივულ სულეირი განცილებად...  
— „ვითარც ჰელურ ჩემგან ნამცეცდებს,  
ისე მოველი წყალობას შეგან” — ცერს პო-  
ეტი. „შევხარი ხატზე ფერთა ხავერდებს და  
ღძება, ჩემს ხალას და ბამულს ვავედრებ.”  
თუნდაც ეს სტრიქონები: „რა პატარა ხარ,  
გულო ტაძარო, მიკვირს, ვით იტევ მთლიან  
სამყაროს!”

შხატვრული სახეებით გაჯერული  
მისი პოეზია დიდებულ სურათებად აღიქმის-  
ბა — „ტაბარი შესვლა ჰგავს ცაში ყოველს,  
თუნდ რერთა წამით. საბ თითს რომ შეკრავ,  
თითის წერებზე ვარსკვლავები დაგასხ-  
დებიან....” ხოლო როცა ცხადს სიზბარი  
ცვლის, ფერები უფრო შთამბეჭდავი ხდე-  
ბა „წიმდა ხათელი უსვად იმ დამით, ქარი  
ციურში ყვაველის ურევდა... თეთრი გიორ-  
გი, დილი წმინდას უფლის სიყვარულს  
ჩამარინებდა. მაღლობელი ვარ ძალის  
განგების, ვდგავარ მუხლმოყრით სალოცავ  
ხატან და საძალობრელს, ლოცვად აღ-  
ლენის, პატარა წანთლის სხივს ცისქენ  
ვაგან”. აგ ბოლომდედა გამხმილია ავტორის  
ფიქრი, აგ ძარღლი, მას სხამის, რომ კვა-  
ლა ხატიდან სინათლე მოდის... როს გულის  
თვალით შევცერით ხატს... ყველა ხატიდან  
ვგრძნობ დიდ სიყვარულს და ამაღლების

ნერილის დასასრულოს, მსურს საკუთარი ფიქრი გავუზიარო მეტხეველს... გართულ პოეზიაში, მის უყიდებანო და ულამაზეს სივრცეში, ზოგაც, მხელად შესამჩრევი სიცარიელე მოჩაა... ვინ უნდა ამოავსოს მარტინი? თუ არა ზომა ვაშაკიძის მსგავსამა პოეტებმა, განწევ გამდგარნა, უხმაუროდ მცხოვრებმა, უჩქურან საქმეს შეჭიდებულებდა. ქართული პოეზიის დიდებულ პალიტრას თავისებურ ფერადოვნებას რომეს სძეოდი... წარმატებები ვუსურვოთ პოეტს!



## ამირან გენაძე — 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ამირან გენაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ბატონო ამირან!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღულითადად მოგესალმებიან პოეტსა და მამულიშვილს და გილოცავენ დაადგის 70 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსი „ჩემი სოფელი“ 1967 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“. მას შემდეგ თქვენი ნანარმობები პერიოდულად ქვეყნდება ჩემის სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად. დღეს უკვე 36 კრებულის ავტორი ხართ.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ ლირიკულ კრებულებს, როგორიცაა „მე სიყვარულით“, „ჭრელ ყვავილთა შორის“, „ნუთისი სიყველი“, „ნატერის ხე“, „ჩენდა სახსოვრად“, „მუზების მოზღვავება“, „გრძნობები არ ბერდება“, „ძველი მონატრება“. ამ კრებულებში შესულ ლექსებს სამშობლო ქვეყნის ლრმა, უნაპირო სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობა გამოარჩეს. ბეკრან ნერთ სიყვარულზე – ამ უნაზეს და უფაქიზეს გრძნობაზე, რისთვისაც ვიბადებით და ვცოცხლობთ ამქვეყნად.

უყურადღებოდ არც პატარები დაგიტოვებიათ, რომელიც გატაცებით ეცნობიან თქვენს საყმანილო პოეტურ და პროზაულ კრებულებს, ისეთებს, როგორიცაა „ხარისხი მახარია“, „ყურშას თავგადასავალი“, „დათვი დრუნჩა“, „ორი კურდლის თავგადასავალი“, „კუს ნაბიჯებით“, „ლუბას კატები“, „ხელოსანთა ქვეყანში“...

თქვენი პოეზის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუსულ და ინგლისურ ენებზე. თქვენს ლექსებზე არაერთი სიმღერა შეიქმნა.

ცალკე აღნიშვნის ლირისია თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა. ათწლეულები გაატაცეთ საქართველოს მშენებლობის სამინისტროში და საკუთარი წლილიც შეგქონდათ ქვეყნის აღმაშენებლის მეტად საპატიო საქმიანობის მიმართ.

ცალკე აღნიშვნის ლირისია თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა. ათწლეულები გაატაცეთ საქართველოს მშენებლობის სამინისტროში და საკუთარი წლილიც შეგქონდათ ქვეყნის აღმაშენებლის მეტად საპატიო საქმიანობის მიმართ.

ბატონო ამირან!

კიდევერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართული პოეზიის ერთგულ ჯარისკაცს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.



## ბონდო მაცაბერიძე — 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბონდო თენგიზის ძე მაცაბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძეირფასონ ბატონო ბონდო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, გამომცემელს, ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი ცხოვრება, სამშობლოს ბედზე დაფიქრებული შემოქმედის ცხოვრება ერთი მშენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება იცხოვროს ნამდვილმა შემოქმედმა, როგორ შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ აკეთოს დიდი, ეროვნული საქმები, რომ თავად საქმეებმა ნარმობის იგი, როგორც ჭემარიტი მამულოშვილი...

პირველი ნაბიჯები სამწერლი ასპარეზზე 1986 წელს გადადგით, როცა უურნაა „ნობათში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი. ლექსები მერმე ცალკე ნიგნად გამოაქვეყნეთ. „თმენის ფორმულა“ ერქვა იმ კრებულს, რომელმაც მკითხველს ქართულ მწერლობაში კადევ ერთი ნიჭერი შემოქმედის მოვლინება ამცნო. თქვენს ლექსებში სიყვარულის სიდიადზე ესაუბრებოდით მკითხველს, იმ გრძნობაზე, რომელსაც ენოქალური ძვრების მოხდება შეუძლია, ესაუბრებოდით სამშობლოზე, მის ბედსა და უბედობაზე, გზარავდათ სულისშემვრელი ნაცრისფერი რეალობა ჩვენი ყოფილია. ჩვენს თვალნინ ჭალარავდებოდა ქართული ცა თქვენთან ერთად; დრო კი, ეს უცნაური დღემდე გამოუცნობი, თქვენთვის ის ყინული იყო, გასალლობად რომ დაცურულებულა ხელისგულზე... შეიძლება თამამად ითქვას, რომ ღირსეული დებიუტი გქონდათ და პერსპექტივაც შესაბამისი გქონდათ, თუმცა ახალ გამოწვევას შეეჯიბრო — მწერლობის ურთულება ჟანრს, ზაბარი, რომ ჰქვის სახელად, ჟანრს, ბენგის ხიდზე სიარულის ტოლფასი რომ არის და უმცირეს სიყალებაც ვერ ითანა.

ამ გამოხვევასაც ღირსეულად გაუმკლავდით. თქვენი ზღაპრების კრებულები „ფაციკა“, „ზაღო და ბალი“, „დილის წინ საკითხავის ზღაპრები“, „ზღაპრები ბექნა ბიჭზე“, „ზღაპრები თეკლა გოგოზე“, „ზღაპრები თუსიზე და კიდევ ტუსიზე“, „ნერილები ნერის ბუდიდან“, „ბექეყა და კესო“ (ლექსები) შეიყვარეს ქართველმა ბაგშვებმა. ამ კრებულებში ნათლად და წარმონაბრნდა, რომ სირბინით და გონიერებით გართულება ქართულ ზღაპრულ სამყაროში ნიმუში საკუთარი ნიმა გამონახეთ, საკუთარი სათქმელი და ასათქმელის ხატოვნად, ზომიერად და სიყვარულით გამოთქვამა. სწორედ თქვენი ზღაპრებით იგებენ პატარები, რომ უფსკერო და უძირო არაფერია დედამინის ზურგზე და თუ ამ ქვეყნის შვილი ხარ, თვალისწინივით უნდა გაუფრთხილდე მინის ყოველ მტკაველს, იგებუნ სიკეთის, პატიოსნების, სამშობლოს სიყვარულის ფასს, იზრდებიან ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებად...

თქვენი პირველი ცხოვრები „ფაციკა“, „ზაღო და ბალი“, „დილის წინ საკითხავის ზღაპრები“, „ზღაპრები ბექნა ბიჭზე“, „ზღაპრები თეკლა გოგოზე“, „ზღაპრები თუსიზე და კიდევ ტუსიზე“, „ნერილები ნერის ბუდიდან“, „ბექეყა და კესო“ (ლექსები) შეიყვარეს ქართველმა ბაგშვებმა. ამ კრებულებში ნათლად და წარმონაბრნდა, რომ სირბინით და გონიერებით გართულება ქართულ ზღაპრულ სამყაროში ნიმუში საკუთარი ნიმა გამონახეთ, საკუთარი სათქმელი და ასათქმელის ხატოვნად, ზომიერად და სიყვარულით გამოთქვამა. სწორედ თქვენი ზღაპრებით იგებენ პატარები, რომ უფსკერო და უძირო არაფერია დედამინის ზურგზე და თუ ამ ქვეყნის შვილი ხარ, თვალისწინივით უნდა გაუფრთხილდე მინის ყოველ მტკაველს, იგებუნ სიკეთის, პატიოსნების, სამშობლოს სიყვარულის ფასს, იზრდებიან ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებად...

თქვენი პირველი ცხოვრები გართულება და მისი გათელვა, მისი იავარემნა შეუძლებელია, მეტის გამოხვევასაც მშვენიერ ტრადიციას, როდესაც გამოიცემა უკანასები, ზარტოველი მწერალთა კრებულებით ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც მართლაც რომ თაზისად იქცა უმშემებელი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლის წიგნი გამოსცა და ამით საკევენოდ განაცხადა, რომ ქართული მწერლობა ცოცხლობას და მისი გათელვა, მისი იავარემნა შეუძლებელია, მეტის გამოხვევასაც მშვენიერ ტრადიციას, როდესაც გამოიცემა უკანასები, ზარტოველი მწერალთა კრებულებით ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც მართლაც რომ თაზისად იქცა უმშემებელი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლის წიგნი გამოსცა და ამით საკევენოდ განაცხადა, რომ ქართული მწერლობა ცოცხლობას და მისი გათელვა, მისი იავარემნა შეუძლებელია, მეტის გამოხვევასაც მშვენიერ ტრადიციას, როდესაც გამოიცემა უკანასები, ზარტოველი მწერალთა კრებულებით ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც მართლაც რომ თაზისად იქცა უმშემებელი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლის წიგნი გამოსცა და ამით საკევენოდ განაცხადა, რომ ქართული მწერლობა ცოცხლობას და მისი გათელვა, მისი იავარემნა შეუძლებელია, მეტის გამოხვევასაც მშვენიერ ტრადიციას, როდესაც გამოიცემა უკანასები, ზარტოველი მწერალთა კრებულებით ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც მართლაც რომ თაზისად იქცა უმშემებელი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლის წიგნი გამოსცა და ამით საკევენოდ განაცხადა, რომ ქართული მწერლობა ცოცხლობას და მისი გათელვა, მისი იავარემნა შეუძლებელია, მეტის გამოხვევასაც მშვენიერ ტრადიციას, როდესაც გამოიცემა უკანასები, ზარტოველი მწერალთა კრებულებით ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც მართლაც რომ თაზისად იქცა უმშემებელი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლის წიგნი გამოსცა და ამით საკევენოდ განაცხადა, რომ ქართული მწერლობა ცოცხლობას და მისი გათელვა, მისი იავარემნა შეუძლებელია, მეტის გამოხვევასაც მშვენიერ ტრადიციას, როდესაც გამოიცემა უკანასები, ზარტოველი მწერალთა კრებულებით ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც მართლაც რომ თაზისად იქცა უმშემებელი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე მდგარი ქვეყნის მწერლი



## ნანა (ნანული) გუნია

ვე, ვით მოყვასს რჩევას გაძლევ

საგულეში გულის ნაცვლად  
ქვა არასდროს ჩაიდო,  
თუ გინდა რომ მოწყალება  
ღმერთმა შენზე გაიღოს.

მე ვით მოყვასს რჩევას გაძლევ  
ნება კიდევ არს შენი...

სულ გახსოვდეს! სიტყვით, საქმით,  
გაახარო გამჩენი.

უმეცრების ნიშანია  
გულში ბოლმის ჩადება,  
სიკეთის ქმნა ცხოვრებაში  
ისევ შენ წაგადგება.

### უ ფ ა ლ ს

(სამადლობელი)

ღმერთო, შემინდე თუ სამადლობელს,  
როგორც გერეუთვინის, ვერ ვამბობ ისე,  
დიდი მადლობა ყველაფრისათვის,  
დიდო უფალო იესო ქრისტე.

თუ რამე ნიჭი არსებობს ჩემში  
ან კი თუ რამე ჩემში კარგია,  
ისევ და ისევ მადლობა, ღმერთო,  
შენი წყალობა, შენი მადლია.

მადლობა, ძალა რომ მომეც იმის,  
ყველა მიყვარდეს, ყველა ვეფერო,  
დიდება შენდა, ყოვლადყდლიერო,  
დიდება შენდა, დამბადებელო.

### ვისაც ეხება

გულწრფელთ სულელად წათლავენ,  
უგნურებს კიდევ ჭკვიანად,  
შუქს ვერ ხედავენ, ბნელეთი  
მოჩენებიათ მზიანად.

უგნურნი ვედარ ხედავენ  
მათ თავს დატეხილ ვნებასა,  
კარზე მომდგარი სატანა  
ცდილობს შინ შემოლნევასა.

გონზე მოეგეთ იფხიზლეთ,  
ნუ მიცემით ძილსაო,  
ახლა სჭირდებით მაგ ეშმას,  
ბოლოს თქვენც დაგცემთ ძირსაო.

ჩანს არ გსმენიათ „მოტანილს  
ქარისას ქარი წაიღებს...“  
თუკი დასჭირდა მამულს, ერს  
და რწმენას, სისხლიც გაიღეთ.

მითხარ, რად გინდათ ამდენი  
ქინება, ავლადიდება,  
თუკი განკითხვის უამს იგი  
ცოდვის სასწორზე იდება.

ამბობენ, ბოლო უამს ბევრი  
ბოროტისაგან ცდუნდება,  
აღარ გაჯობოთ, ქართველნო,  
სოროსელების გუნდებმა.

მსგავსად გმირ წინაპრებისა  
ტანზედ ჩაიცვით აბჯარი  
და დასაცავად რწმენისა  
დასძარით ქართველთ ლასქარი.

შთამომავლობას რომ ჰქონდეს  
საუკეთესო მერმისი,  
მტერს ერთად გავცეთ პასუხი,  
პასუხი შესაფერისი.

### უგულო ხელმძღვანელს

თუ სავარძელი გერგო დღეს,  
ნუ გაგიფები ეგზომ,  
დღეს სხვა ჰეგის... ხვალ შეიძლება  
გითხრათ, დაგავე ეზო.

აღარ გეგონოს მუდმივი  
იყოს ეგ სავარძელი,  
ცხოვრება ასვლის, ჩასვლის კიბეა...  
ბრძენის თქმულია, ძელი.

ეცადე ყველას, ნაცნობს თუ უცნობს,  
ყველას მოექცე კარგად,  
დიდ სამჯევროზე შენს და ღმერთს შორის  
არ ჩამოეშვას ფარდა.

თუ შენ დღეს ლალობ, იმათიც გესმის,  
ვისაც შია და კენესის,  
რასაც აკეთებ და რასაც ამბობ  
ასჯერ გაზომე, გესმის?

### ჩვენს ერთად ყოფილის ვეატრობ

მადლობა უფალს, მე ცოდვილს,  
მომმადლა დიდი მადლი,  
მაგრამ ვერ ვხარობ...ამქეყნად  
არაფერია კარგი.

გული მიკვდება, რომ ვხედავ,  
მომრავლებულა ფლიდი,  
ქართველთა შორის ნელ-ნელა  
ვაი, რომ ტყდება ხიდი.

პარტიებ და ფრაქციებად,  
დაყოფილებს რომ ვხედავ,  
საგულეს ვეღარ ეტევა  
გული და სულს ღრღნის სევდა.

მათ შემხედვარე ვერ მზეობს  
მზე, ცა სავსეა ნისლით,  
სად არის ჩევენი ქართული  
ჯიში, გერი და სისხლი.

ნაცვლად იმისა შევიკრათ  
ერთ მუჭად, მტკიცედ, მყარად,  
მამულს, ენას და ჩევენს რწმენას  
დავუდგეთ გვერდში ფარად.

უცხოს თვალებში შევყურებთ  
და არ ვაკარებთ ნიაგს,  
შინაურს, მოყვასს არ ვინდობთ  
და შუბლში ვახლით ტყვიას.

რა გვემართება, ქართველნო!  
მტერ-მოყვარეს ვერ ვარჩევთ?  
კარზე მომდგარი წყეული  
სატანა, რად ვერ ვამჩნევთ?

კარის გაგლეჯას აპირებს  
ჩევენ ხმას არ ვიღებთ, რატომ?  
დღედამ ვლოცულობ, ქართველნო!  
ჩევენს ერთად ყოფნას ვნატრობ

ნუ გავიმეტებთ ერთმანეთს  
შურს, ბოლმას ვუთხრათ უარი,  
ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს  
მტერს ჩავურაზოთ კარი.

ვერ ხედავთ? ყველანაირად  
იცვლება ჩევენი მოდგმა,  
მე ვფიქრობ, არ გადავვიშდეთ...  
და ამის გამო მოვთქვამ!

რომ მენატრები სულისშემძღვრელად,  
რომ ლვთის წყალობით სულ მეყვარები,  
რომ მენატრება შენი წუგეშ  
და სითბოთ სავსე შენი თვალები.

ეჰ, სამი ათას ორას სამოცი  
დღე სავსე ფიქრით, დარდით და სევდით,  
შენზე ფიქრებში როგორ გასულა...  
ვერც შევამჩნიე... ძვირფასო დედო.

ამ წუთშიც ბორგავს სული ეული,  
არ ვიცი სანამ გავუძლებ ტკივილს,  
გაუსაძლისად მომნატრებია  
შენი ალერსი... სითბო და ვტირი.

### ვაიმა, რა დრო გასულა...

დავცერე სურათებს წასულთა  
ვამე, რა დრო გასულა...  
სუყველა მომნატრებია  
უსაყვარლესი დედიკო,  
ბიძები, ბაბუ, ბებია...

და ბიძაშვილი პატარა...  
ყველანი მემახსოვრება  
სიკედილმდე... დარდით სავსე ვარ,  
ეჰ, რა ყოფილა ცხოვრება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს  
ცხოვრება წარმავალია.  
სიკეთე ვუყოთ ერთმანეთს,  
ნუღარ ვიქენებით მწყრალია.  
ნათელი კვალი დავტოვოთ  
ყველა ჩვენგანის ვალია,  
მუდა, ყოველთვის, გვახსოვდეს,  
ცხოვრება წარმავალია!

### დღესაც კვლავაც იგას გეტყვით

დღესაც კვლავაც იმას გეტყვით,  
რაც რომ ადრეც მითქვამს,  
დავუფიქრდეთ ჩევენს ემდებას  
და ჩევენს ყოველ სიტყვას.

ეს ცხოვრება წარმავალი  
არის, რად არ ვფიქრობთ?  
ჰოდა, სანამ ცოცხალი ვართ,  
ერთურთს მივცეთ სიტბო.

ღმერთმა ნუ ჰქნას ერთნაირი  
გვქონდეს ყველას აზრი,  
ერთი უნდა სულ გვახსოვდეს,  
სული არის ნაზი!

ამ სულს გაფრთხილება უნდა,  
არ ეტკინს რამე,  
სულს არასდროს აღარ სძინავს,  
ფხიზლობს დღედადამე.

მოსვენება არ აქვს წამით,  
არს სიკეთის ღწვაში,  
ყველგან სადაც კი მიწვდება  
მთა არის თუ ბარში.

სადაც ხელი მიუწვდება  
ყველგან თესაც სიტბოს,  
სულს რომ რამე არ ვატკინოთ,  
ნეტავ რად არ ვფიქრობთ?

მაშინ როცა განუწყვეტლივ  
სული ჩევენზე ფიქრობს,  
განა მარტო ფიქრობს, გვაძლევს  
განუწყვეტლივ სიტბოს.

განა რამეს ელის ჩვენგან,  
განა რამეს ითხოეს,  
ჩევენ კი ჩევენდა სამარცხვინოდ  
ველარ ვაძლევთ სიტბოს.

### ჩემს ვაჟიშვილებას ედუარდს (იოანეს) და გიორგის

როგორც ყოველთვის, ჩემი შეიღებო,  
ამ წუთშიც თქვენზე ვფიქრობ,  
ვცდილობ, საწუთოს დატოვებამდე,  
რომ არ მოგაკლოთ სიტბო.

როს წუთისოფელს დავტოვებ, შვილო,  
ღმერთი გამოყვანს როცა,  
შორეთში მყოფიც თქვენთან ვიქები,  
აღარ მოგაკლოთ ლოცვას.

ჩემ გამო გთხოვთ, რომ არ გააკაროთ  
თქვენს გულს დარდი და სევდა,  
შევთხოვ, წყალობა რომ არ მოგაკლოთ,  
ღმერთს და ღვთისმშობელ დედას.

როცა უდედოდ დარჩებით გთხოვთ, რომ  
ერთურთს მიეციდოთ მხარი  
და დედასავით, შვილო, ერთმანეთს  
გაუდეთ გულის კარი.

ამ საწუთოში, შვილო, მუდმივად  
ვინ დარჩენილა ნეტავ?  
ღვთის მოსაწონად, უფლის მცნებების  
დაცვით იცხოვრეთ, დედა.

ყოველადმოწყალე უფალს მიენდეთ,  
არ გაიკაროთ სევდა,  
ამ წუთისოფელს ვინ დარჩენილა?  
თქვენ შემოგევლოთ დედა.

### მომავალ გვილიშვილებას

არ მოვლენილხართ, მავრამ იცოდეთ,  
რარიგ მიყვარხართ, ან როგორ ძლიერ,  
ამ საწუთოში დარდსა და სევდას  
თქვენს მოლოდნში მე თქვენით ვძლიერ.

არ მოვლენილხართ, მავრამ იცოდეთ,  
სიხარული და სიტბო ხართ ჩემი,  
ჩემი შვილები, ედო და გიო  
და თქვენ ხართ ჩემი სიცოცხლის მშვენი.

## უცუნა ოქრუაშვილი

## ახლა რა ვძეთ?

ნათელია,  
ყელაფერი ნათელია  
ცხოვრებაში  
შეცდომებით ვიარეთ,  
ბევრი რამე  
გავსწორეთ, ამოვხსენით,  
მაგრამ რა ვქნათ...  
ალბათ დავაგვიანეთ...  
მატარებელს,  
ვიცი, ვეღარ დავეწევით...  
გაგვასწრო და  
ნინ და უკან დავდივართ,  
წლები, წლები  
ლამესავით გაგვეპარა,  
ახლა რა ვქნათ...  
ერთმანეთის დარდი ვართ...

## ნავიდეთ...

ოღონდაც,  
შენი ხმა მესმოდეს,  
ოღონდაც  
ცოცხალი მყავდე,  
გავუძლებ,  
ათასგვარ განსაცდელს,  
გავუძლებ  
მოვარდნილ დარდებს...  
გამილამაზე  
სიბერე,  
მართალი მივდივართ  
ღმერთთან...  
და თუ სიკვდილმა  
გვაჯობა,  
უჩემოდ ნუ წახვალ...  
ნავიდეთ,  
წავიდეთ ორივე  
ერთად...

## თბილისო, ჩემო მვავითორო!

ამოინვერა  
ჩვენს ეზოში  
მწვანე ბალახი,  
ნამი ვაპურე,  
ნამზეურზე  
არ ღირს ვაწვიმო,  
ო, რა ხანია,  
არ მინახავს  
ჩემი ქალაქი,  
ნატვრაში ვცოცხლობ...  
ჩემეული  
ხმა მივწვდინო...  
სიო დაპერილებს,  
ჩუმი ფიქრი  
ვინძლო წამართვას,  
მე გავუზდები,  
მრავალ სატელს  
ჩავიკლავ,  
ჩავიკლავ  
საყვარელი,  
ჩავიკლავ  
საყვარელი,  
ჩავიკლავ  
საყვარელი,  
ჩავიკლავ  
საყვარელი

შენც შეიცვალე?  
ლურჯ ეკრანზე  
ვერ გიცან,  
გუშინ...  
მოვა აპრილი,  
აყვავდება ატამი,  
ნუში,  
მაისიც ისევ  
გაიშლება  
ედემ-ვარდებად,  
გლდანს მოაწყდება  
აფთარივით  
ქარი ავჭალის,  
ღამეს გაფატრავს  
და რიურაუზე  
გაავდარდება...  
ო, რა შორსა ვარ...  
მაინც მესმის  
სუნთქვა ქალაქის,  
ხნოვანი ვარ და  
რა ვქნა,  
როგორ შემოგირბინო,  
მდუღარე წყალში  
ჩაფუფქულო  
„ოქროს“ ხოხობო,  
მეფის ცერიდან  
აფრენილო,  
ლურჯო მიმინო,  
თბილისო,  
ჩემო მშვენიერო,  
ჩემო სახატე,  
შემინდე,  
შენდა საკადრისად  
თუ ვერ დაგხატე,  
მინდა, გაჩუქო  
ჩემი გული,  
სულიც წაიღე,  
როცა მოვკვდები,  
ერთი წვეთი...  
ერთი წვეთი  
ცრემლი გაიღე...  
და ვიტყვი მაშინ,  
არ მოვკვდები,  
დედა მყოლია!  
პოეტად დავრჩი  
და სიკვდილი  
მონაგონია.

შვილების და ქმარის.  
დიდ ოთახში  
გიზგიზებდა „ფერი“  
და გვიცდიდა  
სუფრა წინაღამის...  
დედა ლოცვით  
აანთებდა სანთელს  
და მეუფეს  
შეწყალებას სთხოვდა.  
იქ, ღუმელში  
ტკაცუნობდა შეშა  
და ფანჯრებში  
ხვავრიელად თოვდა.  
გოზინაყით  
გვაბერებდა მამა,  
რომ სიბერე  
გვექონებოდა ტკბილი.  
ოთხი და-ძმა  
ვიზრდებოდით სახლში,  
მშობლის  
ოთხი მოყვარული  
შვილი...  
როგორ მახსოვს  
ის ალერსი  
დედის  
და ასევე  
მოფერება მამის.  
ყველაფერი  
წავიდა და გაქრა,  
ვით სიზმარი  
შორეული ღამის.

არწივების  
გამზრდელი ხარ,  
კვლავ უღელს ნუ  
დაიდგამ...

## საახალწლო საჩუქარი

მეზობელთან გადავედი,  
მოვიკითხე  
ბავშვი, ქალი,  
შინ დაგპრუნდი  
რაღა მექნა?  
დაკეტილი დამხვდა კარი,  
აქეთ ვეცი,  
იქით ვეცი,  
არსად იყო ჩემი  
ქმარი!  
ღმერთო, ნეტავ  
სად წავიდა,  
უსასოო,  
ძლივას მდგარი?  
გავიხედე, მობაკუნობს  
მხარული,  
მოცინარი...  
ცალ ხელში აქვს  
ყავარჯენი,  
მეორეში პარკი შავი,  
თურმე ჩემთვის  
უყიდია,  
საახალწლო საჩუქარი...

## კვლავ უღელს თუ დაიდგამ

მიჰერი, ტატოს  
მერანივით,  
წინ კი  
რთული გზებია,  
შენზე ფიქრში,  
ოცნებაში,  
მრავალს უთენებია...  
ფალავნებიც  
შეგეჭიდნენ,  
ზოგმა კიდეც  
მოგხია,  
მაგრამ ვერვინ  
ამოგძირკვა,  
ძირიდან ვერ  
მოგთხარა!..  
ისევ დგახარ  
ამირანი!  
ჰერკულესის  
მოგვარე.  
ოცნებაში  
სიყვარულით,  
თეთრი ცხენი  
მოგვარე...  
ზედ შეგისვი  
კვლავ გიორგი  
ბაგრატიონთ  
ჯიშისა,  
წინ იარე  
გაბეჭულად,  
ნუ გაქვს დარდი  
შიშისა...  
მიჰერი ტატოს  
მერანივით,  
მაგრამ  
ლელოს გაიტან?

## ამოდი ჩვენთან

არ დაიჯერო,  
რომ მე წავედი,  
არ დაიჯერო,  
რომ მიგატოვე.  
მივდივარ, მაგრამ  
გულით აქ ვრჩები,  
ვშიშობ, გაუძლებ  
მაგ სიმარტოვეს?  
ჩათვალე მაინც,  
ვითომ აქ დავრჩი,  
ღამე ვდარაჯობ  
შენს კოშმარ  
სიზმრებს,  
მარტოს არ გტოვებ,  
ჩვენს საიმედოდ,  
თავს დაგტრიალებ  
სიკვდილის ჯიბრზე...  
გესმის? აქა ვარ,  
დარდის დამტევი,  
ამ პანანინა  
მყუდრო ბინაში,  
ჩვენს ფანჯარასთან  
ვალამ-ვათენებ,  
დღისით სითბოში,  
ღამე ყინვაში...  
და მერე როცა  
მოვა აპრილი,  
შენც კარგად იცი,  
ვიყავ პოეტი,  
ამოდი ჩვენთან,  
გულზე დაგვანწვე  
აყვავებული  
ატმის რტოები...


## ახალი ცლის დილა

ისე ჩუმად  
მოდიოდა თოვლი,  
როგორც დალლილ  
მოგიპაროს ძილი.  
დილით ადრე  
გვაღვიძებდა დედა,  
თოვლი იდო  
უმანკო და ჩვილი,  
ხედავთ წუხელ  
მოგვილოცა ზეცამ,  
უხვი თოვლით  
გვასაჩუქრებს ღმერთი.  
გამეზარდეთ კარგები  
და ზრდილი  
და გიყვარდეთ  
მუდამ ერთმანეთი,  
დაგვკოცნიდა  
და გვაცმევდა ახლებს,  
მოყვარული









## ოთარ ურუშაძე

### ვლადიმერ ვისოცკის ერთი სიმღერის შესახებ

ვისოცკი და ოჯუჯავა სამოციანი წლებიდან უტად პოპულარული ბარდები იყვნენ მთელს საბჭოთა იმპერიაში. მათი სიმღერების შექმნა ძაგლაზე თუ შეიძლებოდა და ისიც მხოლოს რენტგენის ფირფიტებზე. მე მქონდა შესძლებლობა გაცცნობოდოთ მათ ყირიმში, დაბა მისხორში, სადაც ისინი ერთად ისვერნდნენ და საღამოობით სანაპიროზე კოცონიან მდეროდნენ თავის ახალ სიმღერებს. შემდეგ ვასოცკის შევხვდი თბილისში უკე მარინა ვლადისთან ერთად და ასევე მოსკოვშიც ამჟამად საფრანგეთში მცხოვრები, ცნობილი ხელოვნის გუჯი ამაშუკელის სახელოსნოში, სადაც შეასრულა თვეის ახალი სიმღერა „ჭირვეული ცხენები“. ჩემი მაშინვე შევამზინებ კავშირი ბარათაში „მერანთან“, რაც მან არ უარის. 2018 წელს მოსკოვმა გამოიცა ვისოცკის შესახებ 700 გვერდანი წიგნი სათაუროთ „ვასოცკი საქართველოში“, სადაც შეიდა ასევე ჩემი მოგონება ვისოცკიზე და რა საკვირველია, ამ სიმღერის ისტორიაც.

მე თარგმნილი მაქვს ვისოცკის პოეზიის ნაწილი და მათ შორის „ჭირვეული ცხენები“, რომელსაც გთავაზობთ განსაჯელად.

შენდაც ვისარგებლობ თქვენი გაზეთის კეთილგანწყობით და ასევე ნარმებიდებინოთ ამონირიდი მე-20 საუკუნის ცნობლი უცხოელი პოეტების თარგმანებიდან. მათ შორის: ჯეიმს დეივი, კარლ სესდერეგი, ჯონ ლენონი და პოლ მაკარტნი, ლინგსტონ ჰიუზი, ანა ახმატოვა, მარინა ცვეტავა, ვისოცკი.

### ვლადიმერ ვისოცკი

### შირვეული ცხენები

ფლატეთა გასწროვ, უფსკრულის პირას, ზედ მის კიდეზე, მათრახის ცემით და კიუინით, ცხენს მივაჭენებ. გიშურ სრბოლაში ჰაერს ვეძებ, ნისლს ესვამ, ქარს ვყლაპავ, ვგრძნობ ამ განწირულ აღტყინებით, რომ თავსა ვკარგავ. დაიცხერთ გული, ჩემო ცხენებო, ნუ ეპუებით დეზას და მათრახს! მსურს, შევჩერო მე სრბოლა მჩენი, მაგრამ არ ძალმიძს მოთოვკა თქვენი და თუ ადვირი გამოდგა გრძელი, აღსასრულის დღეც დადგება ჩემი. მერე სიმღერაც შეწყდება ძელი. უფსკრულის პირზე გავიელვებ, შევდები ნამით... ცხენს დავარწყულებ და სიმღერას ვიმღერებ ზარით. მერე კი ნავალ, დავიკარგები, როგორც ქარბუქმი ღერები ჩალის. ან მარხილები, დაოთხილები, გამიტაცებენ სპეტაკ თოვლიდან. ასე ვიურად სად მიიღოვით? დაიცხერთ გული! დაიოკეთ გული თავნება! იარეთ ლალად,

რომ ვიმღერო სიმღერა კვლავაც. უფსკრულის პირზე გავიელვებ, შევდები ნამით... ცხენს დავარწყულებ და სიმღერას ვიმღერებ მანიც. ჩვენ მოვასნარით ღმერთთან სტუმრობა, თუმც მასთან ხლება არასოდეს არ არის გვიან. ეს ანგელოზთა ბრაზიანი სიმღერა ისმის... თუ ზარებს რეკენ ასე მოთქმით და დაუინებით? ეს ხმა ჩემი, განწირული ცხენს რომ ვუკივი. ო... შესმინე ვედრება ჩემი, ნუ მიჰქრი ასე... გიურად და თავდავიწყებით! ძახილი ჩემი იკარგება გრიგალში, ქარში. კვლავ ძველი უნით მაფრენები მარხილს. მახლოვდება დღე აღსასრულის, თან მიმაქვს ჩემი სიმღერის დარდი. უკანას კენელად გავიელვებ, უფსკრულთან ნამით, ცხენს დავარწყულებ და ბოლო სტროფს ვიმღერებ მანიც.

### ჯეიმს დიკი

### მხატვა სამოთხე

ეს სამოთხეა მხეცთა მოდგმისა, აქ გამოხედვა აქვთ თვინიერი, ადრე თუ იყვნენ მდგმურნი სხვა მხრისა, აქ იქური მოყვათ იერი... ზოგი ცხოვრობდა უსიერ ტყეში, იქ მიერვია სილადეს ტყისას. ზოგი კი, სულაც ვრცელ პრერიებში მხოლოდ ბალახით ივსებდა პირსა. ინსტინქტს თუ ჩვევას, ავსაც და კარგსაც. მათ ბუნებაში ყრმობიდან გამჯდარს, არ ივიწყებენ ისინი კვლავაც. თუმც ჩინებულად მოეწყენ, მაგრამ ლვთის ნებით მოხვდნენ აქ უნებურად. მათ სანავარდოდ და სამებლად, უბოძა ღმერთმა ქეყანა ვრცელი - ტყეები, მთები, ველები, ზღვები, სამოთხის ნესით ძმობას თუ ყოფას ჯუნგლის კანონი თრგუნავს და ბორკავს, იქ წინაპრების დახურული ძვლებიც კვლავ თხოულობენ სისხლიან ზეიმს და როცა მათში იღვიძებს მხეცი, დემონსტრაციას ახდენენ ეშვის. ეამაყებათ მათ იგი მეტად, ააქ ნადირობენ უჩუმრად, ნელა, შემართული აქვთ მოძმეზე თათი, მსხვერპლზე ნახტომი სრულდება ნამში, წინათგრძნობა აქვთ განწირულთ ავი, თუმც კი არ ნებავთ დაიცავან თავი. ბედითი ხვედრი სხვა არის მაინც და მისი ნებით სამოთხის ბალში, გამოხვეული ერთიან ტყავში, წარსულზე სწუხან მგელიც და კრავიც. როცა დგებიან სიკვდილის კვალში. მწარე მომავალს უმზერენ თვალში, მაშინ მათ ამის არა აქვთ დარდი და სისხლით მთვრალი ნაღვლობენ არც კი, რომ კანიბალის ცხოვრობენ დამლით. თუმცა ერთმანეთს გლეჯენ და ფლეთენ, მომძეთ ცხოვრება ღმერთს აბარია, თაკარა მზის ქვეშ თუ ხეთა ჩრდილ ქვეშ, ბოლო უამს მაინც ერთად არიან...

### ანა ახარტოვა განვართოება

იმდენი ქვა აქვთ ნასროლი ჩემთვის, რომ მივეჩეი და აღარ ვუფრთხი, მათ მიერ აადრე ნაგები მახეც, დღეს გადამექცა მშვენიერ კოშკად

და ამიტომაც მადლობას ვწირავ უჩინარო მოდგმას. მათი გარჯაც ხომ ამითი მორჩა, აქ აღიონი მეწყება ადრე. მზის ბოლო სხივი ეცემა სარკმელს, ქარები ხშირად მსტუმრობებზე ზღვიდან. მტრედი მიეკნეას ხელიდან საკენკას, მუზა კი თავის ნატიფი ხელით მისწორებს ლექსად ჩამოქნილ ნაწერს.

### მარინა ცვეტავა

\*\*\*

მომწონს, რომ ჩემით არ ხართ სნეული, მომწონს, რომ თქვენით არ ვარ ეული და არასოდეს გამოგვეცლება ჩვენ დედამიწის მძიმე სხეული. მომწონს ჯერ კიდევ, რომ ვარ ანცი და სასაცილო და არასოდეს გამოგვეცლება ჩარი დედამიწის მძიმე სხეული. მომწონს ჯერ კიდევ, რომ ვარ ანცი და სასაცილო და არ ვიბენ ვერ ისევ არახული, ყველა ოცნებებში შენთან წამიყვანა. ის დამიკრიფე დღემდე არნაჩუქი, ციდიან ვარსკელავები ღამით მომიზიდე, შენი სიყვარული დღემდე რა ვქნა თუკი, ხელზე დავიდე და გულზე მივიზიდე. შენში დამასახლე, ცრემლედ დამიტიე, ცისფერ კესანებად შენში ამაყვავილე, გულის აორტაში სისხლად დამაინე, მოდი, სიყვარულ, მოდი, გამახარე. შენში დამასახლე, ცრემლედ დამიტიე, მზერას შევაპაროთ ღიმოლები, ცაში მერცხლებივით ვინავარდოთ, წარსულს ჩავაბაროთ ტკივილები.

### ფიქრია ბროლაშვილი

\*\*\*

მოდი, დამიკარგე გულზე გაზაფხული, ამყვავილე და ცამდე ამიყვანე, დიღა გამითენე ისევ არახული, ყველა ოცნებებში შენთან წამიყვანა. ის დამიკრიფე დღემდე არნაჩუქი, ციდიან ვარსკელავები ღამით მომიზიდე, შენი სიყვარული დღემდე რა ვქნა თუკი, ხელზე დავიდე და გულზე მივიზიდე.

შენში დამასახლე, ცრემლედ დამიტიე, ცისფერ კესანებად შენში ამაყვავილე, გულის აორტაში სისხლად დამაინე, მოდი, სიყვარულ, მოდი, გამახარე. შენში დამასახლე, ცრემლედ დამიტიე, მზერას შევაპაროთ ღიმოლები, ცაში მერცხლებივით ვინავარდოთ, წარსულს ჩავაბაროთ ტკივილები.

დამიტიე ვარსკელავებად აცციმციმდეთ, წყვილებს გაუზუნათოთ ბილიკები, ისე მოვუფრთხილდეთ ჩვენს სიყვარულს, რომ არ მივაკაროთ ქილიკები. თოვლში ფანტელებად დაველვენოთ, დარში ნაცილები ღიმოლები, მზერას შევაპაროთ ღიმები, ცაში მერცხლებივით ვინავარდოთ, წარსულს ჩავაბაროთ ტკივილები.

დამიტიე ვარსკელავებად აცციმციმდეთ, წყვილებს გაუზუნათოთ ბილიკები, ისე მოვუფრთხილდეთ ჩვენს სიყვარულს, რომ არ მივაკაროთ ქილიკები.

თოვლში ფანტელებად დაველვენოთ, დარში ნაცილები ღიმები მზერას შევისები, მზერას შევისები მზერას შევისები, მზერას შევისები მზერას შევისები, მე კი - დედოფალი ჩემი მეფის.

### იანვარი გაეპუტა ზამთარს

მოლოდინი გაუცრუუა ისევ, დედამიწას დეკემბრის მზით გამთბარს, თოვლის ფიტექი არ აღირსა წამლად, იანვარი გაებუტა ზამთარს.

თებერვალი სარკმლის მიღმა უმზერს, მატის მოსველას სულ სხვაგვარად ხარობს, გაზაფხულდა რახანია უკვე, ვებედა ვარდის ცქერით შავვი გალობს.

ნუშის კვირტებს დასდგომიათ უამი, ყვავილობის და სურნელის ფრევევის, ზამთრის სუსხი შეპარვია აპრილს, ეს სიმკაცრე ვერ დაინდობს ვერვის.

იანვარი გაბუტვია ზამთარს, თოვლის მოსველას მოკვდავივით ითხოვს, მაგრამ თოვლი აგვიანებს ახლაც, გაზაფხული დამდგარის ითხოვს.

